№ 23
შაბათი, 31 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 23
შაბათი, 31 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერია"

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА".

## ქართული თეატრი

შაბათს, 31 იანვარს,

**ბენეფისი კასირის ყალაბეგიშვილისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ა ხ ა ლ ი პ ი ე ს ა

**ხანის ვეზირი**

კომედია 4 მოქმედებად, აკაკი წერეთლისა

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელი, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, დ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

## ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

იღებს შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს

ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

სახელოსნო-სამკერვალოში ასწავლიან ჭრა კერვას მოზრდილ ქალებს.

აქვე შეუძლიანთ მიაბარონ მსურველთ მოსწავლეებად პატარა ქალებიც.

(5—უ.—5)

ორშაბათს, 2 თებერვალს,

**„ტფილისის სობრანიის" სადგომში**

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" სასარგებლოდ

**გამართული იქნება**

## საცეკვაო საღამო

საღამო დაიწყება 10 საათზედ.

**შესასვლელის ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.**

სამოქალაქო წოდებისანი ფრაკებით უნდა იყვნენ, სამხედრო წოდებისანი — ამისთანა შემთხვევისათვის ჩვეულებრივს ტანსაცმელში. ქალებისათვის გულ-ღია კაბები სავალდებულო არ არის.

ბილეთების მიღება შეიძლება საღამოს გამგეს, უგანათლებულესს კნეინა თამარა გრუზინსკისთან, ხოლო იმ დღეს, რა დღესაც საღამო გაიმართება, —თვით „სობრანიაში".

(4—6.—3)

დოქტორი მედიცინისა

## ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა**, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.

(10—23—3)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ერევნის მაზრის უფროსის თანაშემწე, ნადვორნი სოვეტნიკი თავადი თუმანიშვილი; ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის კანცელარიის მოხელე, გუბერნსკი სეკრეტარი დავით გაბაშვილი.

დანიშნულ იქმნა ქ. ტფილისის პოლიციის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი ქლენტი—სენაკის მაზრის სამხედრო გამგეობის უფროს საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

გამწესებულ იქმნა: ქ. ოზურგეთის მცხოვრებელი ირაკლი გლახას ძე მენაბდე—ბათუმის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელედ; აზნაური დიმიტრი ამბაკოს ძე გოგიტიძე—ბათუმის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 31 იანვარს, ქართულ თეატრში, ქართულის დრამატიულის დასის მიერ, კასსირის ბ-ნ ყალაბეგაშვილის საბენეფისოდ, გამართული იქმნება წარმოდგენა. ითამაშებენ ბ-ნის აკაკი წერეთლის ახალს 4 მოქმედებიანს პიესას „ხანის ვეზირი" და ვოდევილს „ადვოკატთან". მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ეჭვი არა გვაქვს, რომ ამ წარმოდგენას საზოგადოება მრავლად დაესწრება, მით უმეტეს, რომ უნდა წარმოდგენილ იქმნას ბ-ნის აკაკის ახალი პიესა.

⁂ გუშინ წინ, 29 იანვარს, ქართულ თეატრში, ქართულის დრამატიულის დასის მიერ, „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. განსაკუთრებით ბევრი აცინეს არტისტებმა დამსწრე საზოგადოება „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"-ის წარმოდგენის დროს. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-ნთ აბაშიძემ და გამყრელიძემ; სხვა არტისტებიც ხელს უწყობდნენ პიესის რიგიანად წარმოდგენას. ვოდევილში კარგი იყო ბ-ნი კანდელაკი. არა უშავდა-რა აგრეთვე ბ-ნ დ. მესხს. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო ამ წარმოდგენას.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებამ ბ-ნს ა. ვ. პასტუხოვს ვერცხლის მედალი მიუსაჯა კავკასიის უმაღლესის მთების გამოკვლევისათვის.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ - სასამართლოს გამომძიებელს წარუდგინა ოქმი, შედგენილი ადგილობრივ მოქალაქეთა გამგეობაში იმის შესახებ, რომ ამ გამგეობის ბუხჰალტერმა კონსტანტინე ყორღანოვმა შეურაცხება მიაყენა ამავე გამგეობის საქმეთა-მწარმოებელს ამირან ჯილაევს და ხმამაღლად განაცხადა, რომ ჯილაევი სახელმწიფო პალატიდგან გერბის მარკების ქურდობისათვის გამოაგდესო. ამიტომ ბ-ნი ყორღანოვი სამართალში მიცემული სასჯელთა დებულების მე 286 მუხ. თანახმად და ეხლა ამ საქმის შესახებ გამოძიება იქნება დაწყებული.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის შუამდგომლობისამებრ, ნება დართო ხსენებულ კომიტეტს საქარის სანერგესთან ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების ხელის შესასწავლად კურსები დააარსოს. კურსებზედ მხოლოდ 20 კაცი პრაქტიკანტი იქმნება მიღებული. პრაქტიკანტებად ყოველ წოდების კაცს მიიღებენ, მომეტებულ ნაწილად იმათ, რომელთაც პირველ დასაწყის სასწავლებელში დაუმთავრებიათ სწავლა, 15 წელზედ ნაკლებნი არ არიან და რუსულად ლაპარაკი შეუძლიანთ. მსურველთ მთელის წლის განმავლობაში მიიღებენ. მოსწავლეთ ერთი წელიწადი უნდა იმეცადინონ. მსურველთ, თუ ერთ წელიწადს ვერ შეისწავლეს, მეორე წელიწადსაც შეუძლიანთ დარჩენა. მოსწავლენი ამერიკული ვაზის ხელის შესწავლასთან ერთად შეისწავლიან ხეხილისა და მცენარეულობის კულტურასაც. ზამთრობით მოსწავლენი თეორიულად იმეცადინებენ. პრაქტიკანტებს მიეცემათ ოთახი და სასმელ-საჭმელი. სანერგეს მმართველის განკარგულებისამებრ იმათ, რომელნიც კარგად იმეცადინებენ, 4 თვის შემდეგ 3 ან 10 მ. დაენიშნება ჯამაგირად. წლის ბოლოს პრაქტიკანტებს გამოსცდის განსაკუთრებული კომისია. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ მუშაობის ხელმძღვანელი, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულთან მყოფი ერთი აგრონომთაგანი და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების განყოფილების რწმუნებული. ვინც ეგზამენს კარგა გარდიხდის, იმას შესაფერი მოწმობა მიეცემა.

⁂ ხუთშაბათს, 29 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზედ ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა, კავკასიის წყალ-მდინარეთა ოლქის ინსპექტორმა ს. ა. ვეის-ფონ-ვეისენგოფმა, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ა. ივანენკომ, საგუბერნიო ინჟინერმა კ. ც. ბუტკევიჩმა, პოლიცმეისტერმა ლ. პ. მასტიცკიმ, ქალაქის ტეხნიკოსმა ს. ა. მუხარინსკიმ, ჰიდრავლიკოსმა ს. ზავრიევმა რიყის მცხოვრებელთა წარმომადგენელის თანადასწრებით დაათვალიერეს მადათოვის კუნძულის ნაპირი, სადაც ა. ტერ-ასატუროვის ხე-ტყის ქარხანაა, დესიმონოვის მოედანსა და ავლაბრის პატარა ხიდთან მტკვრის სანაპიროები, იმ აზრით, თუ რა ღონისძიება შეიძლება იქმნას მიღებული რიყის მცხოვრებლების წყალ დიდობის დროს უზრუნველ-საყოფელად. რიყის სანაპიროების შემაგრების გარდა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა საჭიროდ იცნო გვირაბის გაყვანა ქარვასლისა და მეტეხის კლდის ქვეშ წყლის თავისუფლად სავლელად. ბ-ნმა გუბერნატორმა წინადადება მისცა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ყოველგვარი მასალა-რაც-კი საგუბერნიო სამმართველოში რიყის მცხოვრებელთა წყალდიდობისაგან უზრუნველ - საყოფელად, შეჰკრიბეთ და წარმომიდგინეთ, რომ შეგვეძლოს იმისი გამორკვევა, რა დახმარებაა საჭირო ამ საქმისათვის რიყის მცხოვრებელთაგან, რა დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქალაქმა თავისის მხრივ და რა თანხა უნდა ეთხოვოს მთავრობას.

⁂ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი შევიტყეთ. სოფ. პატარძეულში მცხოვრებელს პავლე ყუშიტაშვილს უთხოვნია მთავრობისათვის ნებართვა პატარძეულში წიგნთ-საცავის დაარსებისა. მთავრობას ნება დაურთავს და უკვე დაარსდა კიდეც წიგნთ-საცავი. ეხლა ყუშიტაშვილი დაჰპირებია თავისს მემამულეებს, რომ გაზაფხულზედ საკუთარ შენობას ავაგებ წიგნთ-საცავისათვისაო. ყუშიტაშვილი ტფილისში თათრის მოედანთან ერთ პირიან და საუკეთესო ვაჭრად ითვლება. კარგი იქნება, რომ ჩვენმა სხვა ვაჭრებმაც მიჰბაძონ ამ მაგალითს და ხანდახან არ დაიშურონ ხოლმე თავიანთი წვლილი რაიმე სასარგებლო საქმისათვის.

⁂ პეტერბურგის სომეხ-ვაჭართ უთხოვნიათ მარიამის სახელობის დედათა გიმნაზიის დირექტორისთვის, რომ ოღონდ თქვენ საღმრთო სჯულის მასწავლებელი მოიწვიეთ, რომ სომეხ-მოსწავლეებს საღმრთო სჯული ასწავლოს, და ყოველ გვარს ხარჯს ჩვენ ვიკისრებთო.

⁂ სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I ორშაბათს, 2 თებერვალს, წავა ბაქოს.

⁂ გაზ. „Волг."-ის სიტყვით ამ დღეებში გაუგზავნიათ ნიჟნი-ნოვგოროდიდგან ბაქოში ის დანიური ფარდული, რომელიც გამოფენაზედ იყო გამოგზავნილი და რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა გილანის მმართველს, შაჰის შვილს აჩუქა.

⁂ ამას წინად გაზ. „Касп."-ი სწერდა, რომ ბაქოს საბჭოს ხმოსანმა ვაჩიანცმა საბჭოს პროექტი უნდა წარუდგინოს ბაქოში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებაო. ეხლა-კი გაზეთი აცხადებს, რომ ვაჩიანცს

ეს აზრი ფიქრადაც არ მოსვლია და განზრახვა აქვს მხოლოდ წინადადება შეიტანოს საბჭოში, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ პოლიტეხნიკუმს, თუ იგი ტფილისში იქნება დაარსებული.

⁂ გაზ. „Рус. Лис.“ სწერს, რომ რამდენსამე უცხო ქვეყნელს განზრახვა აქვს ბათუმის მახლობლად მამული შეიძინოს, ზედ ვარდის ბუჩქები გააშენოს და შემდეგ ქარხანა დააარსოს ვარდის ზეთის სახდელადაო.

⁂ გაზ. „Кав. Сельс. Хоз.“ სწერს, რომ ქ. გორში 15 იანვარს ჭლექისაგან გარდაიცვალა ი. ვ. სტიხომიროვი, რომელმაც მშვენივრად იცოდა ფუტკრის მოვლა-მოშენების საქმეო. განსვენებული პირველად პროფესორის ბუტლეროვის საფუტკრეს განაგებდა სოჭში და ამ უკანასკნელს დროს გორის მემამულის თავ. მ. რ. ერისთავის საფუტკრესო.

⁂ 29 იანვარს, მე-8 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა აბუბეკერ მიხინოვმა, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა სამი ცხენი მომპარა, 240 მან. ღირებულიო. ქურდი სააკოვი პოლიციამ დაატუსაღა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. აცანა,** (გურია). ჩვენში მეტის-მეტი სასტიკი ზამთარია. ნოემბრის პირველ რიცხვებიდგან თითქმის არშინამდე თოვლი სძევს და, რა თქმა უნდა, თანდათან ემატება. ქვეშ თოვლი ისეთი გაყინულია, რომ იმის დედა-მიწის მოშორება ბედნიერ კაცს მოუსწრობა. ეულედ დღე და ღამე საშინელი ქარი და ყინვებია. ასეთმა სუსხიანმა ზამთარმა ძალიან შეგვაწუხა; ჯერ ერთი რომ საზამთროდ სრულიად მოუმზადებელნი დავრჩით და, მეორედ, საქონლის საკვები ჩალა დიდიხანია შემოგვაკლდა რის გამოც საქონლის გაზამთრების იმედი ბევრს არა აქვს. სწორედ, მაღლი არ დაჭყევს იმის ბედს, ვისაც ჩალა აქვს სამყოფი, ან ფული ჩალის სასყიდელი. კონა ჩალას ეხლა ჩვენში მაურად დიდის ვედრებით არ იმეტებენ, აქამდის-კი გაუგონარ დიდი ფასი იყო. ერთის სიტყვით, დიდი გაჭირვება და ზარალი მოგველის, თუ ზამთარმა კიდევ გასტანა და ამინდმა ხელი არ შეგვიწყო.

თუმცა ეს სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით ღარიბია, მაგრამ სწავლა-განათლებას ძლიერ ეტანება, მხოლოდ სიღარიბისა და სხვა მიზეზების გამო ის სწავლაც, რომელიც შეიძლება ბავშვმა სოფლის სკოლაში შეიძინოს, რიგიანად ვერ მოუხმარიათ. დაამთავრებს ბავშვი სოფლის სკოლაში სწავლას, სიღარიბის გამო სწავლის განგრძობას ვერ ახერხებს, თუ უველა არა, უმეტესობა მაინც სახლში რჩება, სადაც სკოლაში შეძენილს სწავლას ვერ ავარჯიშებს, და ერთს წიგნსაც ვერ იშოვნის წასაკითხად, რომ ნასწავლი წერა-კითხვა მაინც არ დაავიწყდეს. უველა ამის გამო ბავშვს გონება თანდათან უბლუნდება, რაც სკოლაში უსწავლია, მალე ავიწყდება და ცხოვრებაში გამოსვლის დროს თითქოს არაფერი ახსოვს და რჩება ისევ უსწავლელსავით. თუმცა ჩვენში ერთი დიდის ხნის სამინისტრო და ორიც საეკკლესიო-სამრევლო სკოლა არსებობს, მაგრამ ამ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ მოზარდ თაობას იგივე მოუვა, რაც ამდენ ხანს სხვებს მოსდიოდათ.

ამის გამო აქაურმა შეგნებულმა კაცებმა განიზრახეს სამკითხველოს დაარსება, რისთვისაც მ. მღვდელ ბლიდოჩინის ს. ჩხაიძის თხოვნით, მასმა უფლად უსამღვდელოესობამ გრიგოლმა კეთილ-ინება ნება-დართო წიგნ-საცავ-სამკითხველო დაეარსებინათ აცანის საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლის სახელობაზედ. მაგრამ, რა თქმა უნდა, აქაც სიღარიბე გვეღობება წინ და დაბრკოლებას გვაძლევს. კარგი იქმნება, რომ ქველ მოქმედთ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ კეთილ საქმეში წიგნების თუ ფულის შემოწირვით.

ა. ჩხაიძე

## რუსეთი

რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების საბჭომ 19 იანვრის კრებაზედ დაადგინა იშუამდგომლოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე მოსკოვში საელექტრონო-სატეხნიკო ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

— ოლქისა და მომრიგებელ-სასამართლოების შესანახავად ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვით 18 მილ. მან. თურმე საჭირო.

— უმაღლესს სასულიერო მთავრობამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება სასულიერო წოდების კაცთა შორის გავრცელებულ იქმნას ყვავილის აცრის ცოდნაო. ამ აზრით მთავრებსა და მედავითნეებს, თუ ადგილობრივ მკურნალთაგან მოწმობა ექმნებათ, რომ ჯეროვანად აქვთ შესწავლილი ყვავილის აცრის საქმე, ნება უნდა მიეცეთ თავიანთ სამრევლოში აუცრან ხოლმე ყვავილი მსურველთ.

— ამ ჟამად განზრახვა აქვთ წინადადება შეიტანონ სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება ერთი საზოგადო კომისია დაარსდეს უმაღლესს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა გამოსაცდელადაო.

— განზრახვა აქვთ განსაკუთრებული ჟურნალი გამოსცენ ყრუ-მუნჯთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების ხელის შესაწყობად, რადგან მთლად რუსეთში თითქმის 200 ათასი ყრუ-მუნჯი ირიცხება და ბევრი მათგანი ყოველგვარ საცხოვრებელ სახსარს არის მოკლებული. ჟურნალი ერთის წლის განმავლობაში უფასოდ უნდა ეგზავნებოდეს მსურველებს.

## უცხოეთი

**მაკედონია.** გაზ. „Temps“ სწერს: „ბელგრადის ოფიციალური გაზეთი „Male-Novine“ ამტკიცებს, რომ ვენისა და პეტერბურგის კაბინეტებს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ მაკედონიაში თვით-მმართველობის შემოღების შესახებაო. ორივე კაბინეტს წარედგინა განსახილველად პროექტი, რომლის ძალითაც მაკედონია ორ ნაწილად უნდა გაიყოს: აღმოსავლეთ ნაწილად, სადაც ბოლგარიის გუბერნატორი იქმნება და დასავლეთად—სადაც სერბიის გუბერნატორი იქმნებაო“.

**კრიტი.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ი სწერს: „საბერძნეთის ბატონიშვილის კანდიდატურამ კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ ისეთი მწვავე დამოკიდებულება დაჰბადა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოთა შორის, როგორიც არც შარშან ყოფილა, საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დაწყობის წინად. მარტო იმ ამბავმა, რომ რუსეთი, რომელიც მეტად ფრთხილ პოლიტიკას ადგა უკანასკნელ წლების განმავლობაში, პირდაპირ ჩაერია კრიტის საქმეში, შეიძლება სრულიად შესცვალოს საქმეთა მიმდინარეობა და სულ სხვა მიმართულება მისცეს აწინდელს პოლიტიკასაო“.

**ავსტრია.** გაზეთები სწერენ, ნემეცთა სტუდენტების მიერ მომხდარმა არეულობებმა იძულებულ ჰყვეს მთავრობა, რომ ავსტრიის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დექცეაბის კითხვა აეკრძალა. ყველა უნივერსიტეტების რექტორები ვენაში შეიკრიბნენ და სთხოვეს მინისტრ-პრეზიდენტს გაუჩს გააუქმოთ განკარგულება, რომლის ძალითაც პრაგის ნემეცთა სტუდენტებს აეკრძალათ განსაკუთრებულის ნიშნების ტარებაო. მინისტრმა უარ-ჰყო ეს თხოვნა. ჩხუბი ნემეცთა და ჩეხთა სტუდენტებს შორის ჯერ კიდევ არ მოსპობილა, როგორც პრაგის აგრეთვე ვენის უნივერსიტეტშიო.

## ნარევი

ერთს დაბალის ტანის კაცს, რომელსაც თავი გაცილებით დიდი ჰქონდა ტანთან შედარებით, ჰკითხეს:

— რევაზ! რა მიზეზია, რომ თავი დიდი გაქვს და ტანი პატარა?

— პატარაობისას დედაჩემი სულ იმას ეხვეწებოდა ღმერთს: „ღმერთო, რევაზის თავი გამიზარდე, ღმერთო, რევაზის თავი გამიზარდეო!“, ღმერთმაც უსმინა ვედრება და, როგორც მხედავთ, თავი დიახაც დიდი გამეზარდა, ტანი-კი თავს ჩამორჩაო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ახალგაზდა და ლამაზს ამერიკელს ქალს ჩიკაგოში შემდეგი ახირებული ეპისტოლე მისვლია. ერთს ახალგაზდა, მეტად მდიდარს მილიონების პატრონს კაცს ძლიერ მოეწონა ეს ქალი და ამაოდ სცდილობდა თითონაც თავი მოეწონებინა და ცოლად შეერთო. ბოლოს ასეთს ღონისძიებას მიჰმართა. იყიდა დიდი ალმასი და ამოაჭრევინა ზედ მიკროსკოპით მთელი ეპისტოლე—გაგიჟებით მიყვარხარო. მერე ეს ალმასი და მიკროსკოპი გაუგზავნა ამ ქალს. ასეთმა საკვირველმა ეპისტოლემ გული მოუგო ულმობელს ტურფას და დასთანხმდა ეპისტოლეს ავტორის ცოლობაზედ. უფრო ახირებულად მოიქცა მეორე მდიდარი ინგლისელი, რომელმაც თავისს საცოლეს მისწერა წერილი, დაწერილი ოქროს ფირფიტაზედ თვალ-მარგალიტით. ეს ეპისტოლე ამ კაცს დაუჯდა 7 ათას თუმნად. მაგრამ ამაზე უკეთესი-კი არის წერილი ერთის პარიჟელ მდიდარ კაცისა, სატრფოსადმი მიწერილი. ამ კაცმა შეიტყო, რომ მისის სატრფოს მამას ძლიერ უჭირდა ფული. აიღო ბანკის ჩეკი, გვერდებზედ შემოაკრა სუფთა ქაღალდი და ზედ დასწერა წერილი თავისს სატრფოსთან და თან ბოდიში მოითხოვა, დიდად უკაცრავად ვარ, მაპატიეთ ამაზედ მეტი ქაღალდი

## ფელეტონი

### ცოტა რამ ევროპის ცხოვრებიდგანა და ლიტერატურიდგან.

#### I

ყოველ წლივ თანდათან ძლიერდება ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ამერიკაში სურვილი დედაკაცთა საზოგადო საქმისთვის შრომისა და სამეცნიერო განვითარებისა. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, რომ თვალი გადავავლოთ დედაკაცის საზოგადო მოქმედების ხასიათსა და იმის უნარს საზოგადო საქმეში.

თვით ამერიკელების გარდა სხვებიც ბევრნი ამტკიცებენ, რომ ჩრდილო ამერიკელი დედაკაცი გაცილებით სჯობნის ევროპის დედაკაცს ყოველგვარ საქმეშიო. მაგრამ ასეთი აზრი მხოლოდ იმდენად არის მართალი, რამდენადაც ეს უპირატესობა ამერიკელ დედაკაცისა ეხება ამერიკელ დედაკაცის საზოგადო მოღვაწეობას და მისს შრომას. ესეც-კი უნდა ვსთქვათ—ამერიკის ყოფა-ცხოვრება იმდენად განსხვავდება ევროპის ყოფა-ცხოვრებიდგან, რომ ამერიკელ დედაკაცის გრძნობა და მისი გულის ნადები თითქმის სრულებით გაუგებარია ევროპიელისათვის.

ევროპიელ დედაკაცთა შორის საფრანგეთის დედაკაცს დიდხანს დიდი სახელი ჰქონდა. აქამდე ფრანგი დედაკაცი სამაგალითო იყო, როგორც გონება-მახვილობით, აგრეთვე თვისის გემოვნებით. მთელი ქვეყანა აღტაცებულია საფრანგეთის არტისტ ქალებითა და მომღერლებით და აგრეთვე მისის ქცევით მამაკაცთანა და მისის სიყვარულით. ბევრს უცხოელს ისე აქვს წარმოდგენილი ფრანგი ქალი, როგორც გონება მახვილი, მოხდენილი, მხიარული და ამასთანავე ქარაფშუტა არსება. მაგრამ ასეთნი არ არიან ფრანგი ქალები. ასეთი არის, თუ გნებავთ, მხოლოდ პარიჟელი ქალი. საზოგადოდ საფრანგეთის დედაკაცი ძლიერ განირჩევა პარიჟელ ქალისაგან, რომელიც თითქოს მარტო სიამოვნებისთვის არის დაბადებულიო. საშუალო წოდების ფრანგი დედაკაცი შრომის მოყვარეა, მომჭირნე, კარგი დიასახლისი, შვილების მოყვარული. რამდენსამე თვის წინად—„Revue Blene“ ამტკიცებდა, ჩვენს დედებს ძლიერ უყვართ თვისი შვილი და ეს გარემოება ხელს უშლის ახალგაზდობის შორის თვისის თავის იმედის განვითარებისას. გარდა ამისა საფრანგეთის დედა-კაცი განათლებულიც არის, თუმცა აქამდე იგი არ არის სახელ განთქმული. ლიტერატურაში, მაგალითად, მას დიდი ღვაწლი არ მიუძღვის და ქ-ნი ჟიპ (gyp) ერთად ერთი მწერალია საფრანგეთის დედა-კაცთა შორის.

მართალია, საფრანგეთს ყოველთვის ჰყოლია მწერალი ქალები, მაგრამ თითქმის ყველანი მაღალ წოდებას ეკუთვნოდნენ და მხოლოდ ამავე წოდების ცხოვრების აღმნუსხველი იყვნენ. ასეთი მწერალია, მაგალითად, ქ-ნი სევინიე (sevigne). ამ კარგად აღზრდილ ქალებს, რომელთა თხზულებას მამა-კაცნიც სიამოვნებით კითხულობდნენ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ კარგი სწავლა-განათლება, შესანიშნავი ჭკუა და მჭევრმეტყველება, მაგრამ პოეზიას-კი მოკლებულნი იყვნენ. ქ-ნ სტალსა და ქ-ნ ჟორჟ ზანდსაც-კი უფრო მეტი დაკვირვების ნიჭი ჰქონდათ, ვიდრე პოეზიისა. საზოგადოდ პოეტი-ქალი იშვიათია საფრანგეთში და ამიტომ ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალშიაც საფრანგეთის დედა-კაცის საზოგადო მოღვაწეობას უფრო პრაქტიკული ხასიათი ექმნება.

მივხედოთ ეხლა ლათინთა ტომის მეორე ქვეყანას, იტალიას. წარსული ამ ქვეყნისა წარმოადგენს ბევრს დედა-კაცს, შესანიშნავს თვისის ხასიათით, მამულის სიყვარულით და აგრეთვე ავის ზნით. იტალია მუდამ წარმოადგენდა მხიარულს ელდორადოს სახელოვან გმირთა სახელოვან საყვარლებისას. არსად არ მომხდარა იმდენი ბოროტ-მოქმედება ლამაზ ქალთა წყალობით, როგორც იტალიაში. საჭირო არც-კია იტალიის ისტორიის ცოდნა, საკმარისია მხოლოდ გადავავლოდ, წავიკითხოთ რომანტიულ დროის რამდენიმე დრამები და რომანები, რომ გავიგოთ, რა საგმირო საქმენი მიუძღვით უწინდელ იტალიელ დედა-კაცებს. მაგრამ ამათ გარდა ყოფილან აგრეთვე მეტად სათნოიანი დედა-კაცნიც. იმ დროს, როცა სხვა ქვეყნის დედაკაცნი ჯერ სრულებით განუვითარებელნი იყვნენ, იტალიაში, ჯერ ისევ მეცამეტე საუკუნეში, ყოფილან მკურნალნი ქალნი, რომელთაც სახელი და დიდება მოუპოვეს სალერნოს უნივერსიტეტს, სადაც სწავლა-განათლება ჰქონდათ მიღებული. ეგრედ წოდებულ ჰუმანიზმის დროს დედაკაცი ეჯიბრებოდა მამაკაცს პოეზიის სარბიელზე. 1560 წელს ლოდოვიკო დომინიკომ ჩამოსთვალა 50 პოეტი-ქალი. აქამდე სახელოვანნი არიან: ტულლიად-არაგონა, ვიტტორია კოლონნა, მეგობარი მიქელ ანჯელოსი, ვერონიკა გამბარა, გასპარა სტამპა, რომელსაც იტალიის „საფო“ უწოდეს.

მაგრამ ეხლანდელი იტალიელი დედაკაცი როგორიღაა? იგი უპირველეს ყოვლისა მეტად ლამაზია, მხიარული, იცის მოხდენილი ჩაცმა-დახურვა, უყვარს მუსიკა, სიმღერა და, რა თქმა უნდა, ტრფიალებაც. ოჯახისათვის იტალიელს დედაკაცს მეტად კარგი თვისებანი აქვს და ჩრდილო შუაგულ პროვინციების დედაკაცი მაინც შრომის მოყვარე და მომჭირნე არის. ეკონომიურმა პირობებმა დიდი ხანია აიძულა იტალიელი დედაკაცი, ოჯახს გარეშე მოენახა საქმე. რიცხვი მასწავლებელ ქალთა, ტელეგრაფისა და ფოსტის მოხელეთა და სხვ. ძლიერ დიდია. უფრო ნაკლებად ეტანებიან ქალები ისეთს ხელობას, რომლისთვისაც საჭიროა უმაღლესი განათლება, მაგრამ ამ მხრითაც უკვე წინ-სვლა ეტყობათ იტალიელ დედაკაცთ და ამას მწერლობაც ძლიერ თანაუგრძნობს. ლიტერატურაში, განსაკუთრებულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში იტალიელს დედაკაცს უფრო საპატიო ადგილი უჭირავს, ვიდრე ფრანგსა. თითქმის ყველა იტალიის ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელთა შორის რამდენიმე დედაკაცია და არ ითქმის, რომ მათი შრომა ნიჭს იყოს მოკლებული. ყველას გაუგონია მატილდა სერაოს სახელი, რომლის რომანები მარტო იტალიაში-კი არა, ყველგან მოსწონთ. ეხლანდელ იტალიელ დედაკაცთა შორის მგოსნებიც არიან, მაგალითად ლაურა მანჩინი, ფრანჩესკა ლუტტი, ფუა ფუზინატო და ადა ნეგრი, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელთ არა მქონდა, როდესაც წერილსა ვწერდით. ქალმა ჩეკს ქაღალდი შემოაცალა და თვით ჩეკი მამას გადასცა.

* * *

რუანიდგან სწერენ გაზეთებს, რომ დაგომეის მეფედ ნამყოფის ბეგანზინის ქალი სალამოთი მივიდა ღარიბთათვის შემწეობის აღმოსაჩენად დაარსებულ სამმართველოში და შემწეობა ითხოვა. ბატონიშვილი 23 წლისაა. დიდიხანი არ არის, რაც რუანში მოსულა ბრიუსელიდგან, სადაც ცირკში წარმოდგენების დროს მონაწილეობას იღებდა.

* * *

სიმფეროპოლის ერთს ფოტოგრაფს ბ-ნს შვარცს გამოუგონია ისეთი საშუალება, რომლის შემწეობითაც შეიძლება ფოტოგრაფიის სურათის გადაღება ღამით, სიბნელეში. შვარცს რამდენიმე სურათი გადუღია ღამე და ყველა მშვენივრად არის გამოული. რა თქმა უნდა, ამ გამოგონებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექმნება ფოტოგრაფიის საქმის წარმატებისათვის.

* * *

მომღერალ არტისტებისათვის რეპეტიციების დროსაც საჭიროა მუსიკა, მაგრამ ყოველთვის მუსიკის მოწვევა ჯერ ერთი რომ ძვირად ჯდება და მეორეც შეიძლება ვერც მოხერხდეს მოწვევა. პეტერბურგის ერთს არტისტ ქალს კიეშინსკასას უყიდნია ფონოგრაფი, მერე დაუკვრევინებია ის მუსიკა რომლის დაკვრის დროსაც ცეკვავს და ფონოგრაფს ჩაუწერია ეს მუსიკა. ეხლა რეპეტიციის დროს მუსიკის მაგიერად თურმე ფონოგრაფი უკრავს.

## ბალხა და ალვა

(წერილი ალიბეგლოდგან)

ზაქათალის ოლქის და სხვა მაზრების თათრებსაც ჩვეულებად აქვთ: ერთის სოფლიდგან მეორე სოფელში ქალს რომ ათხოვებენ, აჯილდა თათრის ჯეილები კეტებითა და იარაღით გზას უკვრენ პატარძალს, წინ გზაზედ უხვდებიან დედოფლის მაყრებს და აურზაურს უტეხავენ: „როგორა ჰბედავთ ჩვენი სოფლიდგან ქალი მიგყავთო, ეუბნებიან: განა ჩვენ-კი არა გვყავს ჯეილი ბიჭებიო! სად მიგყავთ ეგ გრიტი მარგალიტიო, — მოგვეცით რამე მაგის საღირალი ფასიო". თუ მაყრებმაც შეუტიეს მოწინააღმდეგეთ, მაშინ კეტების ტრიალი და თავ-პირის მტვრევაც მოჰყვება ხოლმე ამ ჩვეულების მიმდევართა შორის. მაგრამ ეს უსიამოვნება იშვიათად ხდება, ამისთვის რომ ჩვეულების პატივის მცემელნი მაინცა აკმაყოფილებენ აჯილდებს. აძლევენ საჩუქრად სამ მანეთიდგან 5 მანეთამდე შეძლებისადაგვარად ნეფე-დედოფლისა. ამას ჰქვიან თათრულად ბალხა.

ახლა 10 იანვარს ამ წლისას, ალიბეგლოელმა გაგზავნა ს. ყორაღნიდგან მაყრები დედოფლის მოსაყვანად. ამ სოფელში ნახევარი ხალხისა ქრისტიანობს, ნახევარი მაჰმადიანობს, მაგრამ ყველანი ინგილონი არიან, შთამომავლობით ქართველნი. გამაჰმადიანებულ ინგილოებს მაჰმადიანთა ჩვეულება შემოუღიათ ქალის მეორე სოფელს გათხოვების გამო. ქრისტიან ინგილოებსაც ზანი დაუკრავთ იმათთვის. როცა გამაჰმადიანებულნი ინგილონი ქალს ათხოვებენ, ქრისტიანები წინ უხვდებიან დედოფალს და იმისს მაყრებს ფულს ართმევენ ხუთმანათამდე. ასე იქცევიან მაჰმადიანებიც, როცა ქრისტიანები ათხოვებენ ქალს სხვა სოფელში. 10 იანვარს დედოფალი გამოიყვანეს ქრისტიანებმა — ალიბეგლოელებმა მამის სახლიდგან. ეს იყო ყორაღანში. წინ დაუხვდნენ მაჰმადიანთა აჯილდები. დაიწყეს აურ-ზაური. მაყრები გადუდგნენ წინ. მოჰყვა აყალ-მაყალი ცოტას გასწუდა კეტები არ დატრიალდა. მაგრამ შეიტყო სოფლის მამასახლისმა, მოვარინდა აყალ-მაყალის მოედანზედ. იგი ქრისტიანია. ხალხი დააშვიდა. ქრისტიანებმა ერთი ლანგარი ღორის ქონით გაკეთებული ალვა მიართვეს მაჰმადიან ინგილოთ აჯილდებს, ორიც აბაზი, დაამშვიდეს და გასცდნენ მათ დედოფლითა თვისითა.

ხოლო როცა გაიგეს, რომ მაჰმადიანებს ალვა უკვე შეჭმული ჰქონდათ და დაიწყეს ფურთხვაო, ალიბეგლოელ ქრისტიანებმა ასტეხეს სიცილი „კაი თქვე საბრალონო! რაღა გეშველებათ, ამაღამ ბევრს საზარელს სიზმარსა ჰნახავთ: ზოგნი კლდეზე გადიჩეხებით, ზოგნი ჭაერში ფრენას დაიწყებთ, დათვი, მგელი, ტურა და ღომი ყველა თქვენ დაგეძგებათ და ჩაიჩეხებით აქა-იქ კლდეებში"-ო. გამოცდილი ინგილოები მართლაც ამბობენ, ღორის ხორცს ისეთი თვისება აქვსო, რომ ვისაც ის არ უჭამია, არ არის შეჩვეული მის ჭამას, პირველად რომ შესჭამს, ისე დაემართება ხოლმე ძილში, როგორც გთქვით. ინგილონი ბევრს აცდენენ მუსულმან დეკებს და აჭმევენ გახშმად ღორის ხორცს.

ინგილო ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე დანიშნულ იქმნა მე-2 არტილერიის ბრიგადის ლეიბგვარდიის მეორე შეფად.

ებოძათ მე-3 ხარისხის წმ. ვლადიმერის ორდენი პოლკოვნიკებს მათ უმაღლესობათ ჰერცოგებს ალექსანდრე და მიხეილ გეორგის ძეთ მეკლენბურგ-სტრელიცკებს.

27 იანვარს საზამთრო სასახლის საკონცერტო დარბაზში მათ უდიდებულესობათ გამართეს მესამე ბალი, რომელზედაც მიპატიჟებული იყო 1000 ქალი და კაცი.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. სასტიკი ღონის ძიებანი იქმნა მიღებული. სასამართლოს ახლომახლო მრავალი ხალხი შეიკრიბა. ზოლას მოსვლა ვერ შეამჩნიეს. შიგნითაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ვექილთა და რესპუბლიკის დარაჯთა შორის შეტაკება მოხდა. დარბაზი ხალხით გაიტენა. კრება დაიწყო 12 საათზედ. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ქ-ნ დრეიფუსს მხოლოდ ესტერგაზის საქმის შესახებ გამოვკითხავო. ლაბორიმ წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, რომ ჩემს დასკვნას წარმოვადგენო. მოწმე გენერალი ბუადერფი დაიბარეს (ხალხი დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს). ლაბორიმ ჰკითხა, შეგიძლიან თუ არა, მოწმევ, სთქვათ, სამხედრო სამინისტროს რა საბუთის ქაღალდი გადასცა ესტერგაზიმ რამდენისამე დღით ადრე, ვიდრე სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა? პასუხი. — საბუთის ქაღალდი, რომელზედაც ეხლა ლაპარაკია, დრეიფუსის საქმეს შეეხება. ასეთის პირობებით, ვგონებ, თუ ამ საბუთის ქაღალდის შესახებ ვილაპარაკებ, დავარღვევ სასამართლოს გადაწყვეტილებას და ჩემის სამსახურის საიდუმლოს. ლაბორიმ მიუგო: — მე გთხოვთ, ჩემს კითხვაზედ მიპასუხოთ, რა საბუთის ქაღალდია ის ქაღალდი? პასუხი. — სამსახურის საიდუმლოება ნებას არ მაძლევს პასუხი მოგიგოთ. ლაბორი. — გენერალ ბუადერფს საპასუხო თანამდებობა უკავია, მაგრამ აქ, სასამართლოში, მას არ შეუძლიან თავისის სამსახურის საიდუმლოზედ მიგვითითოს. პასუხი. — სამსახურის საიდუმლო და სახელმწიფო საიდუმლო ერთი და იგივეა. ამის გარდა, დიდათ პატივსა ვსცემ მართლ-მსაჯულებას და ამას ხმა მაღლა ვაცხადებ სასამართლოს წინაშე; მაგრამ ჩემთვის სახელმწიფო საიდუმლოს გამომჟღავნება იგივეა, რაც სამსახურის საიდუმლოს გამომჟღავნება. შემდეგ ბუადერფი ამბობს, რომ არაფერი არ ვიცი „პირბადე ჩამოფარებულ ქალის" საქმის შესახებ, თუმცა ამ საქმის გამოძიება სამხედრო მინისტრმა მოახდინაო. ბუადერფი უმატებს, რომ სამხედრო მინისტრმა უბრძანა პიკარს ტუნისში გაეგზავნათ იმიტომ, რომ ის სულიერად ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ სამსახურს ზიანს მოუტანდა, რადგანაც ერთის აზრით იყო მხოლოდ გამსჭვალული. ლაბორიმ ჰკითხა, რაში მდგომარეობდა პიკარის გარევა ესტერგაზის საქმეში. ბუადერფმა მიუგო. ჩვენ ის იყო მივწერეთ პიკარს უფრო ნათელ ეყო თავისი ეჭვი ესტერგაზის შესახებ, მაგრამ ისევ მალე განვათავისუფლეთ ამ საქმისაგან. ბუადერფმა დაუმატა, ჩემთვის დრეიფუსის დანაშაულობა ეჭვს გარეშეა; და ჩემი რწმენა ამ შემთხვევაში სათუო არ არისო (ხანგრძლივი მოძრაობა). ლაბორიმ ჰკითხა: რაზედა გაქვთ დამყარებული ეგ რწმენაო? ბუადერფმა მიუგო: — სასამართლოში საქმის წარმოების დროს გამორკვეულ საბუთებსა და ამ სასამართლოს განაჩენს გარდა, სასამართლოს, რომლის წინაშე იმ პატივისცემით ვიხრი ქედს, როგორითაც ვალდებულია ყველამ მოიხაროს ქედი, — არის სხვა საბუთებიც, რომელნიც საქმეს წინ უძღოდნენ საქმის სასამართლოში გარჩევას, ამ გარჩევას მოჰყვნენ უკან და რომელნიც უზრუნველ-ჰყოფენ ჩემს შეურყეველ რწმენას (აღელვება). დასასრულ ბუადერფმა სთქვა: — საგენერალო შტაბის აფიცრები, რომელთაც ასე ცუდად იხსენიებენ, — მამაცი აფიცრები არიან და ზრუნავენ მხოლოდ ქვეყნის ინტერესებისათვის (ცხარე ტაშის ცემა). ლაბორიმ წარადგინა თავისი დასკვნა იმ საგნების შესახებ, რომლებზედაც ბუადერფმა პასუხი არ მიუგო. გენერალ გონზის ჩვენება. ლაბორის კითხვაზედ იმ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც ესტერგაზიმ სამხედრო მინისტრს გადასცა, გონზმა სთქვა, პასუხს არ მოგიგებთო. ლაბორიმ რამდენიმე სხვა კითხვა მისცა, მაგრამ გონზმა პასუხის გებაზედ უარი განა ცხადა და უთხრა ლაბორის: — ეგ მახეებიაო. ლაბორიმ დიდი წინააღმდეგობა განაცხადა ამ სიტყვების გამო: ეგ შეურაცხყოფაა, — სთქვა იმან, რომელზედაც იმასთან ლაპარაკი ექმნებათ ჩემს სეკუნდანტებსაო. ლაბორიმ მიჰმართა საგენერალო ვექილს და ვექილთა წოდების სახელით მფარველობა მოსთხოვა. (ხანგრძლივი მოძრაობაა;

---

სახელი უკვე მოიფინა ყველა განათლებულ ქვეყნებში. ამ რამდენსამე წლის წინად, ადა ნეგრი უბრალო მასწავლებლად იყო ერთს მიყრუებულ ალაგას მოტტა-ვისკონტიში. უეცრად დაიბეჭდა იმისი ლექსები და მთელმა იტალიამ დაიძახა: „Habemus poetam". (გვყავს პოეტიო!) იმისს დრამატიულ გრძნობით სავსე ლექსებში ისმის არა გაცვეთილი ქებათა-ქება სიყვარულისა, არამედ კაცურის კაცობისა და მასთან ერთად დიადი ლექსი შესახებ მოყვასის სიყვარულისა, ეს ერთად ერთი მართალი ჰანგი ჩვენის დროისა.

ის აღტაცება, რომლითაც მიეგებნენ იტალიელი დედა-კაცნი ადა ნეგრის ლექსებს, ნათლად ამტკიცებს, რომ მათ მართლა შესტკივათ გული საზოგადო საქმისთვის და თუ მათ შორის გავრცელდა უმაღლესი სწავლა, იტალიელი დედაკაცი უეჭველად სასარგებლო მოღვაწედ შეიქმნება. მაგრამ სწორედ რომ ვსთქვათ ლათინთა ტომის დედა-კაცნი ისე არ იბრძვიან თავის სარბიელის განდიდებისათვის, როგორც გერმანიისა და ანგლო-საქსონიის ტომის დედაკაცნი.

გერმანელს ქალს დიდის ხნიდგანვე კარგი სახელი აქვს, მაგრამ ეს სახელი შეეხებოდა თითქმის იმისს დიასახლისობას და ოჯახის მოვლის უნარს. საზოგადოდ გერმანელ დედაკაცზე ამბობენ, რომ შრომისა და კერის მოყვარეა, კარგი ცოლობა და დედობა შეუძლიან და აგრეთვე ყურ-მოჭრილი ყმა არის თავისის ქმრისაო. ეს აზრი ძლიერ გადაჭარბებულია, თუმცა სიმართლეს არ არის მოკლებული, მაგრამ შემცდარია ის, ვისაც ჰქონია, რომ დედაკაცი იმიტომ ემორჩილება ოჯახში ქმარს, რომ ან ენერგია აკლდეს, ან ცხვარივით წყნარი იყოს. გერმანელის ჰკუის თვისება, და მაშასადამე, დედა-კაცისაც კრიტიკა არის და თუ დედაკაცს ოჯახში მეორე ადგილი უჭირავს და ქმარს ემორჩილება, მხოლოდ იმიტომ, რომ მისის აზრით ეს სასარგებლოა ოჯახისათვის. მე ბევრს ვიცნობდი ჭკვიანსა და განათლებულს გერმანელს დედაკაცს, რომლებიც მსჯელობით პროფესორს არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ოჯახში ემორჩილებოდნენ ქმრის აზრს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თავის წრე-შემოვლებულს ასპარეზს არ გასცილებია. ეს ასპარეზი-კი მეტად ვრცელი აქვს იმ ერს, რომელიც ძლიერად და დიდის თანდათანობით ანვითარებს თავის კულტურას. უეჭველია გერმანიის ცივილიზაციის ყველა ისტორიკოსი აღიარებს, რომ გერმანელს დედაკაცს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ცივილიზაციაში. ცივილიზაცია ხომ ქონებისა, გონებისა და ზნეობის განვითარებაა და თუ გერმანელი ქალი უწინდელ დროს ნაკლებად ეხმარებოდა გონების განვითარებას ოჯახისას, ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ მუდამ ეხმარებოდა მისის გონებისა და ზნეობის განვითარებას, შენახვა და მომატება ქონებისა და საზოგადოების სასარგებლოდ აღზრდა შვილებისა დიდი და ძნელი საქმეა. კეთილდღეობა ქონებრივი, ანუ ამ კეთილ დღეობისათვის მეცადინეობა მაინც ნიშანია ცივილიზაციისა და უამისოდ პროგრესი შეუძლებელია და ამ საქმეში დედაკაც დახმარება მეტად საჭირია, რადგანაც დედაკაცი, ვითარცა პატრონი და მომვლელი ოჯახისა, იცავს და ინახავს იმას, რასაც ქმარი იგებს თავისის შრომით. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მხრივ გერმანელი დედაკაცი საუკეთესოა. იგი მომჭირნეა, მშრომელი და თვით უმაღლესის წოდების დედაკაცნიც კი არა თაკილობენ ოჯახის მოვლას და ოჯახისათვის ზრუნვას. უცხოელი რომ გერმანიაში ჰხედავს მემამულეთა მშვენივრად გამართულს ოჯახს, ასე ჰგონია, მამულის პატრონმა გამართა ყოველივე ესო. ის კი არა, თუ ეს მხოლოდ პატრონის ცოლისა და მისის ქალების ხელით არის გაკეთებული. მშვენიერი ბაღჩა ყვავილნარი, ოთახის მორთულობა, ყოველივე ეს ხშირად დედაკაცის ლამაზისა და ნაზის ხელით არის გაკეთებული და ეს დედა-კაცნი ამავე დროს სცდილობენ სწავლის შეძენას, კითხულობენ წიგნებს. გერმანელ ქალის მიერ სიყვარული ლიტერატურისა და მუსიკისა ცნობილია. ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ამ ჟამად გერმანელი დედა-კაცი მამაკაცზედ მეტად ადევნებს თვალ-ყურს ლიტერატურასა და ეს მართალი უნდა იყოს, თუ მივაქცევთ ყურადღებას, რა დიდს მონაწილეობას იღებს გერმანელი დედაკაცი ლიტერატურაში. გერმანულ სალიტერატურო ალმანახში აღნიშნულია (1896 წლისა), რომ ამ ჟამად 3000 დედაკაცზედ მეტი იღებს მონაწილეობას ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში. დედა-კაცთა პუბლიცისტიკა მეტად განვითარდა ეგრედ წოდებულ დედა-კაცთა საზოგადოებათა (Frauenveveine) წყალობით, რომელთა რიცხვი გერმანიაში ეხლა სამასამდეა. ამ საზოგადოებათ საგნათა აქვთ მეტის სარბიელის მოპოვება დედაკაცის შრომისათვის, გაუმჯობესობა ოჯახისა, მოწყობილებისა და სხვ. ამ საგანზედ ყოველთვის არის ხოლმე სჯა და ბაასი საზოგადოებათა კრებებზე. გარდა ამისა არის ჟურნალები, სადაც ამ საგანზე მუდამ აქვთ სჯა-ბაასი. რომ ამიერიდგან გერმანელი დედაკაცი უფრო ეცდება წინსვლასა და განვითარებას, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ბერლინის უნივერსიტეტში, რომელმაც მხოლოდ ამ სემესტრის დროს გადასწყვიტა ქალების მიღება, ეხლა უკვე 200 სტუდენტი დედაკაცია. სურვილი დედა-კაცთა შორის უმაღლესის სწავლის მიღებისა თანდათან ვრცელდება და ძლიერდება და, მგონია, არ გაივლის ათი წელიწადი, რომ უმაღლესი განათლება დედა-კაცისათვის აუცილებელ საჭიროებად იქმნება აღიარებული გერმანიაში. მაშინ უეჭველია შემცირდება რიცხვი მწერალ დედა-კაცთა, რომელთაც გაავსეს ლიტერატურა თავიანთის რომანებითა და ლექსებით. ამით ის არა მსურს ვთქვა, რომ გერმანელ ეხლანდელ მწერალ დედაკაცთა შორის ნიჭიერი და გონიერის აზრის პატრონი არავინ იყოს. საკმარისია დავასახელოთ ბარონესა სუტნერი და ქნი ებნერ-ეშენბახი, რომელთა რომანებს კითხულობს მთელი განათლებული ქვეყანა და აღტაცებულია მათის მეტად ჰუმანიურის და კაცთმოყვარეობის აზრებით.

გერმანელ დედა-კაცთა სალიტერატურო მოღვაწეობაზე ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ეხლა ადგილი ნებას არ გვაძლევს და ამ საგანს სხვა დროს დავუბრუნდები.

ლ.

გაისმის „ჰო“ და „არა“). კრება შეაჩერეს. კრება რომ დაიწყო, ვექილთა მამასახლისის და საგენერალო ვექილის მოთხოვნილებით გონზმა განაცხადა, რომ ჩემი სიტყვები აღემატა ჩემს აზრსაო. ვექილთა მამასახლისმა და ლაბორიმ მადლობა გადაუხადეს. ინციდენტი ამით დასრულდა. ლაბორიმ განაცხადა, რომ ის ცნობილი საბუთის ქაღალდები, რომლებიც მსაჯულთ გარდაეცათ, ზოლას ან დრეიფუსის ოჯახს არ ეკუთვნის. არსებობს,—სთქვა იმან,—სხვა სინდიკატი, რომელში მონაწილეობასაც ჩვენ გვისაყვედურებენო. შემდეგ ლაბორიმა სთქვა, რომ ისინი, რომელთაც გუშინ უსტვინეს ზოლას სასამართლოდგან გამოსვლის დროს, სრულიადაც არ არიან საფრანგეთის გრძნობათა გამომხატველნი. გონზმა, წარადგინა რა განმარტებანი იმ წერილების შესახებ, რომელნიც იმან პიკარს გაუგზავნა, სთქვა, რომ პიკარმა სიტყვიერად გადმომცა, რომ ბორდეროს შემდგენელი ესტერგაზი არისო. მე უთხარი რომ თუ მოღალატის კვალს მიაგნეთ, საჭიროა სრული ნათელი მო ჰფინოთ მაგ საქმეს, მაგრამ ძალიან ფრთხილად კი: პიკარს ესტერგაზის დაპატიმრება უნდოდაო. შემდეგ ჩვენება გენერალ მერსიეს ჩამოართვეს. ლაბორიმ ჰკითხა, აცნობეს თუ არა სამხედრო საბჭოს საიდუმლო საბუთის ქაღალდიო? მერსიემ მიუგო, ეგ კითხვა დრეიფუსის საქმეს შეეხება და მე არ შემიძლიან მაგაზედ ლაპარაკიო. ლაბორის მეორე კითხვაზედ მერსიემ განაცხადა, რომ არაოდეს არაფერი მითქვამს საიდუმლო საბუთის ქაღალდის არსებობის შესახებაო. ლაბორი ბევრს ეცადა კითხვაზედ,—არსებობს თუ არა საიდუმლო საბუთის ქაღალდი,—პასუხი მიეღო, მაგრამ მერსიე დიდ უარზედ იდგა. ლაბორიმ სთხოვა მერსიეს, ჯარის კაცის პატიოსანი სიტყვა მომეციო. მერსიემ მიუგო:—რადგანაც მე მთხოვენ ჯარის კაცის პატიოსან სიტყვას, მე ვაძლევ იმას და ვამბობ, რომ დრეიფუსი მოღალატე იყო და განსჯილ იქმნა სამართლიანად და კანონის ძალით. (ტაშის ცემა). ლაბორიმ ჰკითხა: ჰო თუ არა? იყო თუ არა საიდუმლო საბუთის ქაღალდიო? მერსიე.—მე აღარა მაქვს რა სათქმელი. (სხვა და სხვა გვარი ხმაურობა). კრება შეჩერებულ იქმნა. გენერალ მერსიეს დიდის ამბით მიეგებნენ. ხალხი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს ჯარს! გაუმარჯოს საფრანგეთს“!

**პარიჟი.** ხასიეთის გამასწორებელ პოლიციის სასამართლო. რეინაკისა და როშფორის საქმე. როშფორს გადაუწყვიტეს ხუთის დღით დაპატიმრება და გარდახდა 1,000 ფრანკის ჯარიმისა და 2,000 ფრანკის ზარალისა და საქმის წარმოებისა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ადრესის შესახებ კამათის დროს, ბალფურმა სთქვა, რომ ინგლისის მთავრობა მოურიგდა რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობას, რომელნიც პასუხის-მგებელნი არიან საბერძნეთის სამეფოს დაარსების საქმეში, უზრუნველ-ჰყონ საბერძნეთის მიერ აღებული სესხიო.

ადრესის შესახებ კამათის დროს კერზონმა განაცხადა შემდეგი: „რაც შეეხება პორტ-არტურში მომხდარს ამბებს, რუსეთმა, როგორც ცნობებიდგან სჩანს, ისეთი არაფერი ჩაიდინა, რომელზედაც უფლება არა ჰქონოდა ჩინეთთან დადებულის ხელშეკრულობის ძალით“.

ლორდთა პალატა. ლორდმა სალისბიურიმ განაცხადა, იმედი მაქვს, რომ რამდენისამე თვის შემდეგ ხარტუმი ხელ-ახლა იქმნება დაპყრობილიო. შემდეგ შეეხო რა ჩინეთს, სალისბიურიმ შენიშნა, რომ ხაზინის კანცლერის მიერ კემბერში ნახმარ სიტყვა „ომში“ შეიძლება მრავალი სხვა-და-სხვა აზრი ვიგულისხმოთ. ინგლისი, რასაკვირველია, ხელს არ აიღებს თავისს უფლებებზედ, მაგრამ არავის არა აქვს აზრად ინგლისის უფლებათა დარღვევა. მთავრობა ჰფიქრობს, რომ ყოველი ნავთსადგური, რომლის სარგებლობის ნებაც რუსეთს მიეცემა, უნდა ჩაითვალოს თავისუფალ ნავთსაგურად ინგლისის ვაჭრობისათვისა. ესევე განაცხადა გერმანიამაც. კიაო-ჩაუს შესახებ გერმანიის ელჩმა სთქვა, რომ ინგლისის მიერ დადგენილ ახალშენთა მართვის წეს-რიგის უკეთესობა გერმანიას აღძრავს იმათ, რომ მან მიჰბაძოს ამ წეს-რიგს (მოწონების ხმა გაისმის). შემდეგ პალატამ შეიწყნარა ადრესი.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. ტრერიემ განაცხადა, იმ ნაწერის ხელმა, რომლითაც ბორდერო იყო დაწერილი დამარწმუნა უმთავრესად, რომ დრეიფუსი მართალიაო. ტრერიეს სიტყვებს სხვა-და-სხვა გვარის მანიფესტაციებით მიეგებნენ, რის გამო საქმის განხილვა შემდეგის დღისათვის გადაიდო. გენერლებს ბუადერფს, გონზს და მერსიეს მიეგებნენ ყვირილით: „გაუმარჯოს ჯარს!“ ზოლას გამოსვლამ შეუმჩნევლად ჩაიარა.

**პრეტორია.** კრიუგერი ხელ-ახლა იქმნა არჩეული პრეზიდენტად ხუთის წლის ვადით.

**ბერლინი.** ლლოიდას გემი „კრეფელდი“ ჯარით კიაო-ჩაუში მივიდა.

**ვაშინგტონი.** გვატემალის აქაურმა ელჩმა მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება პრეზიდენტის ბირრიოსის მოკვლის შესახებ. ქვეყანა დამშვიდებულია.

30 იანვარი

**პეტერბურგი.** 29 იანვარს ინგლისის ელჩმა სადილი გამართა. სადილს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და მთავრინანი და სხვა წარჩინებულნი კაცნი.

**ლონდონი.** („Times“) იაპონიის ელჩმა აცნობა ცუნგული-იამენს, რომ იაპონიას აღარ შეუძლიან მისცეს ჩინეთს დიდი ვადა საზოგადო ვალის გადასახდელად. მოლაპარაკებამ სესხის შესახებ ინგლისთან უნაყოფოდ ჩაიარა.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. კრების დარბაზი ხალხით გაიმსო. კრება დაიწყო 12 საათზედ. ლაბორიმ განაცხადა აღარ გამოვკითხავ ქ-ნ დრეიფუს, რომელიც ავად გახდაო. ტორიემ განაცხადა, როდესაც მინისტრად ვიყავი დრეიფუსის გაცნობა არ მომიხდაო. პრეზიდენტმა შეაჩერა, დრეიფუსის საქმეს ნუ ახსენებთო. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს მაიორ ფორცინეტის. პრეზიდენტმა ნება არ მისცა, ფორცინეტისთვის დრეიფუსის საქმის შესახებ გამოეკითხათ. მაშინ ლაბორიმ უარი განაცხადა, აღარ გამოვკითხავ ფორცინიტისაო, არც ლებრენ-რენოს და არც ზოგიერთ სხვა მოწმებსო და სთქვა აქ შემეძლო მათვის მარტო დრეიფუსის შესახებ გამომეკითხაო. ექიმმა საკემ, რომელმაც გუშინ ქ-ნი დრეიფუსი ინახულა, სთქვა იმის მაგიერ, რომ ყველა გამოქვეყნებული წერილები ესტერგაზის დაწერილიაო. შემდეგ დაიბარეს მაიორი დიუპატიდიუკლამ. დიუკლამმა განაცხადა, დრეიფუსის საქმის შესახებ არას ვიტყვიო. მაშინ ლაბორიმ ჰკითახ, როგორი დამოკიდებულება გქონდათ კომმენორის ოჯახთანაო. ამ კითხვაზედ დიუკლამმა არ მიუგო, ეგ კერძო საქმე იყოო. ლაბორიმ წინააღმდეგობა განაცხადა, ჯერ სახელმწიფო საიდუმლოს გაიძახოდნენ, ახლა კერძო საიდუმლოს გაიძახიანო. პოლკოვნიკი ანრი გამოიწვიეს. ანრის ჩვენებამ ყველას ყურადღება მიიქცია. ლაბორიმ ჰკითხა, პოლკოვნიკმა პიკარმა როგორ გაალო ის ყუთი, სადაც საიდუმლო საბუთის ქაღალდები ინახებოდაო. ანრიმ სთქვა, პიკარი ჩემი უმფროსი იყოო, ამ ქაღალდებს ამოიღებდნენ მხოლოდ მინისტრის თანადასწრებით, ან თვით მინისტრი ამოიღებდაო. ლაბორის მეორე კითხვაზედ ანრიმ მიუგო, რომ ჩემი პირდაპირი უფროსი გენერალი გონზი იყოო. ეს უკანასკნელი განცხადება ლაბორიმ მხედველობაში მიიღო. გენერალმა გონზმა განაცხადა, რომ პიკარმა ჩემი წერილები ბოროტად მოიხმარაო. გენერალმა დაუმატა, მხოლოდ მთავარ შტაბის უფროს და სამხედრო მინისტრს შეუძლიანთ შეიტყონ საიდუმლო საბუთის ქაღალდების შინაარსიო. პოლკოვნიკი ანრი ხელახლა გამოიხმეს. ანრიმ განაცხადა, არასოდეს არ მიმიღია ვექილი ლებლუა ჩემს კაბინეტშიო. ანრი და ლებლუა მრავალჯერ თავ-თავისას ამტკიცებდნენ. კრება ცოტას ხნით შეაჩერეს.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. კრების განახლებისას, გამოიხმეს გენერალი პელიე, რომელმაც განაცხადა, რომ მე სამსახურის საიდუმლოს არ ამოვეფარები და სიმართლეს ვიტყვიო (საშინელი მოძრაობაა).

**პარიჟი.** პელიემ დაუმატა, რომ ყველაზედ უფრო სიმართლეს მოკლებული იყო ის ფაქსიმილები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქმნა გაზეთებში დრეიფუსის საქმის შესახებ ყველა ისინი ყალბი იყოო. პელიემ შემდეგ სთქვა: „პიკარი იძულებული გახდა გამოტეხილიყო, რომ თავისის უფროსების ნება-დაურთველად აზრძანა ესტერგაზის სადგომის გაჩხრეკა. ეს მიუტევებელი საქციელია და მე გამოვტყდები, რომ, როდესაც სამხედრო სასამართლომ ესტერგაზი გაამართლა, სულაც არ გამკვირებია. იმასაც დაუმატებ, რომ მე ვამაყობ იმით, რომ ხელი შეუწყო ესტერგაზის გამართლებას. ამ გამართლებამ დაამტკიცა, რომ საფრანგეთის ჯარში ორი მოღალატე არ არის,—მხოლოდ ერთი იყო“. (ცხარე ტაშის ცემა).

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ თეოფილე კილასონიას, რომელმაც გამომიგზავნა ქ. ბაქოში შეკრებილი 58 მან. 30 კაპ. ჩემდამო რწმუნებულ ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიის სამრევლო სასწავლებლის სასარგებლოდ, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც შემოსწირეს ფული ამ კეთილ საქმეს. სია შემომწირველთა: გ. ზ. ა. ტაგიევი—10 მან., თავ. იოსებ დადიანი—5 მან., შალიკო გეგეჭკორი 3 მან., მელიტონ ტყეშელაშვილი, ფილიპე ცინცაძე, ასალო ჭანიშვილი და ვარდენ ყიფიანი—ორ-ორი მანეთი., პეტრე ჯონგავაძე, ტიმოთე წყავზარაძე, ილარიონ თაყაიშვილი, ილარიონ ჭანიშვილი, მიხაილ ჩიგოგიძე, პანტელეიმონ ჭანიშვილი, სამსონ ბურჭულაძე, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი, რაჟდენ დუმბაძე, სამსონ ბარკაია, პეტრე გვანჯა, შალვა ლორთქიფანიძე, ილიკო დიდებულიძე, ბაგრატ ნაზარაშვილი, ნერსეს ბაბაევი, ს. შრივერი, ისიდორე ჩიგოგიძე, გიორგი შარაშიძე, თომა კვაჭაძე, ბესარიონ ილურიძე, უშანგი გამუჩია, ქრისტეფორე დელანოვი, დიმიტრი ჩიგოგიძე, იუსტინე გომოძე და ეგიაზარ დარტაკოვი თითო მან., ფირან პაიჭაძე—70 კაპ., უსახელო, სამსონ ბერიძე, მიხეილ მახარაძე, აზიზბეგ ამირბეგოვი, სამსონ მარტიროვი, ბესარიონ ჩხაიძე, იაკობ ნაზაროვი, ირაკლი დუმბაძე, კოსტა კაკაურიძე, დიმიტრი ბედიანი და ანდრია შაფათავა—ათ-ათი შაური, კალინიკე დუმბაძე და ექვთიმე დევინერმა—ორ-ორი აბაზი და უსახელომ—30 კაპ.

ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი

ილარიონ მგალობლიშვილი

## „ივერიის“ ფოსტა

**ალიკოს.** „ნაწყვეტები“ არ დაიბეჭდება.

**უწერელს** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**გ. ბ—ს.** იგავ-არაკი „მგელი და ცხვარი“ არ დაიბეჭდება.

**ბან-დონს.** თქვენ მიერ გადმოთარგმნილი ლექსი „ფერჩატკი“ არ დაიბეჭდება, „ხელთათმანი“ მაინც დაგერქმევინათ, თქვე დალოცვილო.

**ლანჩხუთელს.** არ დაიბეჭდება.

**ვანოს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ნაკვესი ცუდად არის დაკვესებული.

**ზუგ—დი. ა. ჟვანიას.** ორი აბაზი უნდა გამოგზავნოთ ადრესის ზედ-წარწერის შესაცვლელი.

**ა. დ--ძეს.** თქვენ მიერ წარმოგზავნილი განცხადება არ დაიბეჭდება.

**სოფ. ოძონა. დამსწრეს.** არ დაიბეჭდება.

**ვანო ჩ—შვილს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შმდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| ამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновител Жорданія - . . | | 30 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Января 1868 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.